

ნოვანი

საქართველო
საბჭოთაო
ილინი
1936
ფასი 50კ

შეიქმნა ხუთწლიის საზოგადოებრივი სანაღმრო სანაღმრო სანაღმრო

4.000.000.000 კან.



— წინაღ, ჩემს დროში, როცა ფულს ვაგნებდი ამ ვაჭარბონს, თამასუჭე ჯვარს სვამდა, კად
ბან ხელმოწერა არ იცოდა... ახლა კი თითონ ანესხებს და, შეხე როგორ გამართულად აწერს ხელს!



დიდხანს იალერსეს და ისაუბრეს ბაბუამ და შვილიშვილმა. როცა კონსტიტუციაზე დაიწყეს ლაპარაკი, ბაბუამ თქვა: — მეც კი არ დავავეიწყდი ჩვენს მთავრობას და კონსტიტუციაში ჩემზე შეუტანია:

„მუხლი 120. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე“.

— ბაბუა, ახალი კონსტიტუცია ყველაზე მეტად ჩემზე ზრუნავს, სულ ჩემზეა ლაპარაკი.

— ნუ ხარ ამპარტაენი და დიდგული. ყველაზე ზრუნავს თანაბრად!—დაარიგა ბაბუამ.

— არა, ჩემზე მეტს ზრუნავს, და თუ ეს არ გჯერა, აი, წაგიკითხო უამრავი წიგნები და გაგინმარტო მათი მნიშვნელობა!—და შვილიშვილმა დაიწყო კონსტიტუციის კითხვა.

„მუხლი 121. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით; უფასო განათლებით,—უმაღლესი განათ-

ლების ჩათვლით, უმაღლეს სკოლაში მოწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების ხისტემით“.

— აი, ხომ ხედავ ბაბუა, ეს სულ ჩემზეა. აბა შენ ხომ არ შეგეძლია სკოლაში შეხვიდე?

— აკი შარშან დავამთავრე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა!

— რატომ ჩემი ხნის რომ იყავი, მაშინ არ ისწავლე?

— მაშინ სად იყო ეს კონსტიტუცია!

— ჰოო, დილამშვიდობის, ბაბუა ჩემო! შენი მაშინდელი მთავრობა უფარკსი იყო. ჩემი ახლანდელი მთავრობა კი ხომ ხედავ, როგორ ზრუნავს ხალხზე. ხლა აი ეს მუხლი წაგიკითხო:

„მუხლი 125... სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია:

ა) სიტყვის თავისუფლება,

ბ) ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება,

გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება,

დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება“.

— შენ გქონდა, ბაბუა, ასეთი თავისუფლება? არა, არ გქონდა. აკი შენ მიამბე, რომ მეფისა და მერმე მინშევიკების მთავრობის დროს მიტინგი და დემონსტრაცია...

რაცა გაფანტეს და დახვრიტეს. შენ ასეთი ამბავი არასოდეს მშვენიერად ხედავს ეს მუხლიც წავიკითხოთ. ესეც უე შენკა:

„მუხლი 126... სსრ კავშირის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია უფლება გაერთიანებისა საზოგადოებრივ ორგანიზაციებად: პროფესიულ კავშირებად, კოლხერატულ გაერთიანებებად, ახალგაზრდობის ორგანიზაციებად, სასპორტო და თავდაცვის ორგანიზაციებად“.

— ბაბუა, მოდი და შენც შრომი წაპორტო ორგანიზაციაში, ფიჭულტყეული გახდები, მაგრამ ჯერ ესეც წავიკითხოთ და მერმე ჩაგწერ პიონერების წიგანს.

„მუხლი 132. საყოველთაო სამხედრო ბეგარა წარმოადგენს კანონს. სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიას ში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“.

— აი, ხომ ხედავ, ბაბუა, ეს მუხლიც ჩემია. აბა შენ ხომ ვერ წახვალ წითელ არმიასში?

— ტყუილად გგონია, ჩემო ბიჭიკო. თუ ღორმა ჩვენს ბოსტანში დააპირა დინგის შემორჩა, მოგიკვდეს ბაბუა, რუ ტყეა არ გაარტყას დინგში.

— ყოჩაღ ბაბუა!—და იღვრთოვანებულმა შვილიშვილმა ჩაჰკოცნა ბაბუა. ქერა.

ო ბ რ ი გ ა ც ი ა

მზე აცხენებდა. ვარდიკო ცეცხლმოდებული გარბოდა შინისკენ.

— რა ამბავია, ქალო, რა მოხდა?—მისძახოდნენ მგზავრები მარცხნიდან და მარჯვნიდან, ვარდიკო პასუხს არვის არ ამლედა. გარბოდა და გარბოდა. მილიციელმა წივილა დაუსტვინა. ვარდიკომ არც ამას ათხოვა ყური.

— რალაც ფარსავი ამბავია,—გავითქვრე მე და მივეყე კვალდაკვალ ვარდიკო ნაფეტვარიძის ასულს, მიადგა ერთ სახლს. ეს ვარდიკოს სახლი გახლდათ. შეიჭრა ოთახში. მერე ისევ გამოვარდა, აქეთ ეცა, იქით ეცა. ვერ ნახა ვერაფერი.

ვარდიკო ტელეფონთან მიიჭრა.

— ეძახის ვილაცას.

— ნეტა რაშია საქმე?

არ გასულა 5 წუთი, რომ სასწრაფო დახმარება მოვიდა.

— რაშია საქმე.

— ქმარი ექიმო, ჩემი ქმარი, უნდა იხსნათ.

— სად არის ავადმყოფი.

— ავადმყოფი კი არა.

— მაშ, თქვენ ხართ ავად.

— არა ექიმო, ქმარი, ჩემი ქმარი.

— სად არის მაჩვენეთ, სად წევს.

— არ წევს ექიმო.

— მაშ.

— სამსახურშია.

— დაბრძანდით, ჯამოსწიეთ ენა ისუნთქეთ, სიცხე გაქვთ?

— ექიმო, იცით რა...

— თქვენ ოხუნჯობის ყაიდაზე ყოფილხართ.

— ექიმო უნდა მიხსნათ უბედურებისაგან.

— ჩემ ქმარს გულის სიგანიერე აქვს.

— მერე?

— მერე და...

— სთქვით საქმე რაშია.

— ჩვენ მოვიგეთ...

— რა?

— საგრძნობი თანხა.

— რაში?

— ჩვენმა ობლიგაციამ მოიგო, ექიმო!

— მერე აქ სასწრაფო დახმარება რა შუაში იყო?

— ექიმო, მეშინია, ეს რომ ჩემმა შეუღლებულმა შვიტყოს, ვაი თუ გული გაუსკდება, გულის სიგანიერე აქვს ექიმო, ადვილი შესაძლებელია...

— აა, მესმის, ფიჭრი ნუ გაქვთ. მე ისე მოგახერხებ, რომ გული არ გაუსკდეს.

— ექიმო დამავალებთ, გასამრჯილოს არ დავიშურებ.

— თანხის რაოდენობა.

— ორმოცდაათი ათასი.

— ყოჩაღ, მომილოცავს.

— ჰო, და ეს რომ უცებ უთხრათ, ჩემი ქმარი სიცოცხლეს გამოეხალმება. თუ ის აღარ მეყოლება, არც ფული მინდა.

— იმედი გქონდეთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

— როგორ ცხოვრობთ? — გმადლობთ, ექიმო. არა მიშავს. ცოტა გულის ფრიალი მაქვს, რალაც კუ-

რორტი დამისახლეს, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია წასვლა.

— მიზეზი?

— არის ფრიალ საპატიო და საბასუნის-მგებლო მიზეზები.

— თქვენ ვგონებ ობლიგაციებზე გაჩით.

— დიას, როგორ არა.

— რას იზამდით რომ მოგეგოთ ხუთი ათასი?

— ჰმ! თქვენს პირს შექარი, ნეტა ასრულდეს და...

— ათი ათასი რომ მოგეგოთ?

— მოვითხოვდი უფასო შიზნულებას, წავიყვანდი ოჯახს კურორტზე.

— ხუთმეტი რომ მოგეგოთ.

— ხუთ ათას მთავრობას მივცემდი, დანარჩენით ვიყიდლიდი...

— ოცი რომ ყუფილიყო?

— ჰაი დედასა. აბა ეგ კი იქნებოდა საქმე!

— ოცდახუთი?

— ექიმო!...

— ორმოცი ათასი რომ ყოფილიყო?

— აბა შეძლებული ცხოვრებით მაშინ მეცხოვრებოდა.

— ორმოცდაათი ათასი რომ მოგეგოთ?


— ოჰ! ოღონდ ეგ მართალი ყოფილიყო ექიმო და პატიოსნებას ვფიცავ, ნახევარს თქვენ ვიბოძებდით... ექიმო! ექიმო! ვაიმე მიშველეთ, არიქა სასწრაფო დახმარება!...

— რა ამბავია? — ექიმს გულის სიგანიერე ჰქონია. დონ-კიხოტი.

სტახანოვური მოქროვის წლისთავი

ნახ. ღონის.

„აქაიჭ კიდევ არიან ისეთი შველი სპე-
ციები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სტახანო-
ვური მოძრაობა იყო ერთეულ აღმს-
ანთა ენტუზიაზმზე აღმოცენებულა“
ბიტი მოვლენა“



— ქობილო, გაყოფა ერთი წლის მუშაობა, თორემ საბადოების მარაგი აღკმ გამოიღვება, შან
თუ კიდევ ასე განაზრკე მუშაობა.
— დარდის ნუ ბაძვს, ჩვენს დიად სამუოზლოს გამოუღვებელი სიფიდეკე აძვს.



ზოგიერთ სავაჭროებში საჩივრის ყუთების იხეთ ალაგას არის მოთავსებული, რომ მის მისაწვდომად საჭიროა სახანძრო კიბე. სავაჭროების უფროსებს ევალებათ: სახანძრო კიბის შექმნა, ანდა საჩივრის ყუთის მოთავსება მომხმარებელთათვის მისაწვდომ ალაგას.



სოფ. ნიგვზიანის (გურია) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჩხარტიშვილი (მარჯვენით) და მისი ცხენი. ცხენს შინ მიჰყავს პატრონი, რომელსაც სიმთვრალის გამო არ შეუძლია ცხენზე ჯდომა (ივლა, მაგრამ გადმოვარდა) გულმოსულმა პატრონმა სცადა ხელახლა შეეჯდომა, მაგრამ ვერ შეძლო და უნაგირს დაუწყო ცემა. ალბათ ასეთ შემთხვევაზე არის თქმული: ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო ცემაო.

პასუნა.




მისტიის საავადმყოფოში, ავადმყოფებს მკურნალობენ ახალი საშუალებით — მუსიკით. ამ მიზნით საავადმყოფოს წინ საგანგებოდ მოწყობილია ქაობი, სადაც ბაყაყები მართავენ კონცერტს. უკანასკნელი გამონაგარიშებით ეს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ქაობის ამოშრობა.

ს. გ — ნი.



სოფ. წილენის (ტფ. რ.) საბჭოს თავმჯდომარის საუბარი კოლმეურნეებთან: — თქვენ ტყუილად მოგდით ჩემზე გული, რომ გვების შეკეთებას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ საქმე იმაშია, რომ ახლო ხანში ავიაცია ისე განვითარდება, რომ სრულებით აღარ იქნება საჭირო სოფლის შარაგვები აი, ამ მოსაზრებით აღარ ვაქცევთ გვას.

წყაული



მისტიის (ზემო სვანეთი) კოოპკავშირის გამგეობა (აკვანში) და კერძო ვაჭარი, რომელიც დასაძინებლად ნანას უმღერის პირველად:

დაიძინე და ნუ მოგაქვს
საქონელი შენა.
მე ვივაჭრებ, შენ იძინე
და მომეცი ღონენა.

ს. გ — ნი.



ს. ხუნჯულაშვილის (სამტრ. რ.) დაწყებით სკოლის მოწაფე, რომელსაც ყურები გაზრდილი აქვს მასწავლებელ თ. გაგას მიერ ყურების აწვევისაგან.

მოსხელი




ქალ. ცხაკაიას მუშათა კლუბის მეხვეურნი შემოსავლის გადიდების მიზნით თითო სკამზე სამ ბილეთს ჰყიდნენ. ამიტომ მაყურებლები იძულებული ხდებოდნენ დაჯდნენ როგორც აქ არის ნაჩვენები.

ნაქისელი.



— აი, ჩემი მცირედი შესწორება



ამხანაგი ახირებული დილით ადრე ადგა. საწვიმარი მოისხა, კალოშები ჩაიცვა, ქოჩა ილღიაში ამოიხარა და სახლიდან გამოვიდა.

გზოში ბავშვები შეოხებდნენ.
— კალოშები რატომ ჩავიცვამს, ძია ამ სიცხეში?

— რომ არ წვიმს საწვიმარი რად მივაქვით?

— შორს ხომ არ მიემგზავრებით, ქოლოვა რომ დაგიჭერიათ?—დააყარეს ბავშვებმა შეკითხვები.

ახირებულმა ღიმილით გადახედა მათ.

— წვიმა იქნება, ბავშვებო, ძლიერი წვიმა. ციკლონი წამოვა, მას ანტი-ციკლონი დაეჯახება, ასე რომ ყველა ესენი, რაც თან მაქვს, საჭირო გახდება.

ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ მოკრიალებულ ცას მიაპყრეს თვალები.

— საიდან იცით ძია, თქვენ ეს?—გულუბრიყვილოდ შეკითხა ერთი ბავშვი ახირებულს.

— რადიოს საშუალებით, ჩემო კარგო, —უბასუხა ახირებულმა ცნობის-მოყვარე ბავშვს.—თქვენ ხომ გიღვიათ რადიო? მოისმინეთ საღამოობაო ცნობები ამინდის შესახებ და გეცოდინებათ. რა ამინდი იყო გუშინ და როგორი იქნება დღეს.

— დღეს ისედაც ვხედავთ კარგი დარია! — შეაწყვეტია სიტყვა ერთმა ბავშვმა.

— ხედავთ, მაგრამ კი არ იცით, როგორი იქნება. მე შემძლია გითხრათ, გიდრომეტროლოგიური სადგურის ცნობის თანახმად დღეს იქნება: ცვალებადი მორთბლულობა, წვიმა, სიმშრალე, ზღვაზე სიწყნარე და ძლიერი დეღვა, ცა მოწმენდილი, ხედეა ცუდი, დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ძლიერი და სუსტი ქარები, ტემპერატურის მცირედი ცვლილება, სამიდან ოცდაშვიდამდე დღისით, ხუთიდან ოცამდე ღამით... ბევრ რამეს ნიშნავს ბავშვებო, მეცნიერება!—განუმარტა ახირებულმა ბავშვებს.

ეზოდან ქუჩაში გამოვიდა.

ბავშვებმა მხიარული კისკისი გამოაყოლეს.

— მხიარული თაობა გვეზრდება—ჩაილაპარაკა ახირებულმა და განაგრძო გზა.

ცხელოდა, ივნისის მზეს სახლების ქვის კედლებიც კი გახურებია. ახირებული საშინლად შეაწუხა კალოშებმა, გაიხადა და აქეთ-იქით ჩაიდვა ჯიბეში, ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა, წამოვიდა და ერთ კოპერატიულ სავაჭროში შევიდა.

გაცხარებული ვაჭრობა იყო. ყველაფერი ბლომად ელაგა, ხოლო ბავშვების ტანსაცმელი ყველას სჭარბობდა, ამიტომ უფრო მეტად აქ ბავშვებიან ქალებს მოეყარათ თავი.

— ერთი პატარა ბიჭის ხალათი მომეცით!—უთხრა ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამყიდველს.

— ბიჭის ხალათი არა გვაქვს. ინტერგოგონასათვის. თავისთავად მოგია გამყიდველმა.

— გოგო რომ არ მყავს!—გულნაკლულად თქვა ქალმა.

— შეგეძინებათ რამ დაგიკარგათ იმედი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ!—გამყიდველის მაგივრად უთხრა ახირებულმა სახე გაჭარბებულ ქალს.

მეორე ქალი მეთუე კაბას ასინჯებდა სამი წლის გოგონას. მაგრამ არც ერთი არ მოსდიოდა, სიგრძე, სისრულე, მეტიც ჰქონდა, მაგრამ საყილოში თავი ვერ გაატია.

—საყილოში არ ეტევა თავი... ეს როგორი შეკერილია?—საყვედურობდა ქალი და სხვა კაბებს სინჯავდა.—არც ერთი არ მოერგო, ყველას ვიწრო საყილო აქვს — თქვა მან და კაბები უკანვე გადაუყარა გამყიდველს.

— ჩემი რა ბრალია, დიდთავიანი ბავშვების კეთება გცოდნია, შე დალოცვილო!—უთხრა გამყიდველმა და კაბები თავიანთ ადგილას ჩამოკიდა.

ახირებულს არ მოეწონა ეს ამბავი, წავიდა და სავაჭროს გამგეს მიმართა.

— ამხანაგო, რას ჰგავს ეს? ბავშვების ტანსაცმელი მოგიტანიათ, ბავშვებს არ რგებს, მოზრდილების ტანისაა, თუ სამკერვალოში არ იციან რა ზომის ადამიანები არსებობენ, თქვენ მაინც უთხარით, გააგებინეთ...

გამგემ ახელ-დახედა ამ უჩვეულოდ ჩაცმულ კაცს.

— შენ ახირებული ხარ როგორც გატყობ.—უთხრა მან.

— დიხ, მე გახლავარ, როგორ მიკანით?—გაუხარდა ახირებულს.

— ზედვე გეტყობა.

— ძალიან გამოცნობა გცოდნიათ. ზოგიერთებს როცა ვეუბნები ესა ვარ მეთქი, მაშინვე არ სჯერათ. თქვენ კი თითონ მიცანით. წარმოდგენილი მაქვს ადამიანის ცნობა, რომ ასე განვითარებული გაქვთ საქონლის ცნობა როგორი გეცოდინებათ...

გამგემ ერთხანს უცქირა ახირებულს გამკვირვებული, შემდეგ ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა.

— როგორ უცებ მიცნო?—უკვირდა ახირებულს და თან უხაროდა, რომ ჩვენს კოპერაციაში ზოგიერთი ისეთი მუშაკები გვყოლია, რომ საქონლის გარდა ყველაფერს კარგად სცნობენ.

იქიდან ახირებულმა საპარიკმახეროში გამოირა.

— წვერი მოგბარსოთ? — თავაზიანად მიმართა პარიკმახერმა.

— დიხ.

— თმა შემოგისწოროთ?

— კი.

— თავი დაგბანოთ?

— დამბანეთ.

— მასაჟი გავიკეთოთ?

— გამიკეთეთ.

— ოდეკალონი შეგახშეფოთ?

— უსათუოდ.

— თმა მარჯვნივ გადაგივარცხნოთ?

— იყოს მარჯვნივ.

ათი მანეთი გადაიხადეთ და თავისუფალი ბრძანდებით.

ახირებულმა ძლივს შეაჯერა ერთი მანეთი, გადაიხადა და გამოვიდა. ქუჩაში მეგობარი შემოხვდა, რომელმაც მკლავზე გადაწვენილი ბავშვი მიყავდა და თანაც ძალიან შემკრთალი გამოიყურებოდა.

— რა დამართია?—შეკითხა ახირებულს.

— ბავშვი მიკვდება. უეცრივ რაღაც მოუვიდა, გრძობა დაკარგა, მეშინია დივთირიტი არ იყოს. დამეხმარე, მიმაცვანე ამბულატორიამდე, —უთხრა მან ახირებულს.

ახირებული გულჩვილი კაცი იყო. — გამოართვა ბავშვი, მიწვინა გულზე და ისე ჩქარა გაიქცა, რომ მეგობარი უკან მოიტოვა.

— შემისვით ექიმთან!—მიმართა ჩამწერ ქალს ახირებულმა.

— მიბრძანდით—და ჩამწერმა ექიმის კაბინეტის კარები გაუღო.

— დაგვეხმარეთ ექიმო, ბავშვი გვიკვდება, მიმართა ექიმს ახირებულმა.

— თქვენი გვარი?—მშვილად კითხა ექიმმა.

— გვარი კი არა ბავშვს მიხედვით როგორმე, რა დროს გვარი და სახელია.

— მითხარით გვარი—სასტიკად უთხრა ექიმმა.

— ექიმო ბავშვს შველა უნდა.—გაბრაზდა ახირებულს.

— ახირებული ყოფილხართ მედა ჩემმა ღმერთმა. გაჯავრდა ექიმი.

— ჰო და, თუ კი იცით, რაღას მეკითხებოდით, ჩასწერეთ და მორჩა.

ამ დროს ბავშვის მამაც შემოვიდა და ახლა მან მიმართა ექიმს.

— თქვენი გვარი?—დაიწყო ისევ ექიმმა.

— ბურნაძე.

— სახელი?

— სარდიონი.

— სად ცხოვრობთ?

— კამოს ქუჩაზე.

— სახლის ნომერი?

— ორმოცდა შვიდი.

— რა ქვია ბავშვს?

— ზურაბი.

— რამდენი წლისაა?

— სამის.

— რა ქვია დედას?


— დედა...—დაიძახა ბავშვმა და თვალები გაახილა.

— რა იყო შვილო? დააქერდა მამა.

— დედასთან მინდა... ჩამომსვი ძირს... აღარ დაუცადა ბავშვმა, თითონ ჩამოხტა მაგიდიდან და კარებისაკენ გაიქცა შემდეგ მოიხედა და მამას გაუღიმა.

— ეს არის თქვენი ავადმყოფი ბავშვი? —გაჯავრებით იკითხა ექიმმა და ახირებულს მრისხანედ ჩახედა თვალებში.

— შე დალოცვილისშვილო, რა გიკვირს, რომელი სენი გაუძლებდა ამდენ კითხვებს.—უბასუხა ახირებულმა და გამოვიდა სხვა წარმოება-დაწესებულების რასათვალიერებლად.



ჩვენს ხელთ არის ამბაკო წვერკრეტი-ლიდის დღიურის დედანი; ამბაკოს რამდენიმე წლის წინათ სოფლად ღვთისმსახურებისთვის თავი დაუხეზებია და ქალაქში გადმოსახლებულა საცხოვრებლად. აქ სკოლაში მოწოდებულა სიმღერის მასწავლებლად და სულ მალე სამსახურიდან განუდევნიათ მოსწავლეთათვის საეკლესიო სიმღერების სწავლების მიზნით. ახლა დადის თურმე ამბაკო და ამტკიცებს: საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არისო.

ვაქვეყნებთ მხოლოდ დღიურის ნაწილს რომელშიც ნათლად სჩანს ამბაკოს აზრი ახალ საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

„1936 წლის ივნისის 15.“

...ნუ გასკდება კაცი გულზე, ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოუშვიათ და ხალხს აძლევენ განსახილველად. საკვირველია: თავად ვეღარ დაამუშავეს საბოლოოდ? ჩემის აზრით ყოველ მუხლშია საქმის ცვლილების შეტანა:

კონსტიტუციის პროექტში სწერია: საბჭოთა მოქალაქეების შრომის უფლება უზრუნველყოფილია უმუშევრობის ლიკვიდაციით. ამაზე მეტი სიცრუე, შეიძლება? სამი წელიწადია უმუშევრად დავდივარ, თეატრშიც შევიტანე განცხადება, კინოშიც, არსად მიმიღეს მსახიობად: ახალ სურათებში ახალი ტიპები გვესაჭიროებო, — შიობრეს. ცირკში რიჟიკის თანამდებობა შემომთავაზეს: შენი ძველი პროფესია ამტკიცებს ამ საქმეში საკმაო სტაჟი გქონიაო. აბა, როგორ ვიკადრებდი ღმერთის შერცხვენას.

შეორე: მე-118 და 119 მუხლი ერთი-მეორეს არ ეგუება. თუ საბჭოთა მოქალაქეებს დასვენების უფლება აქვთ, მაშინ ვიღამ უნდა იმუშაოს?!

მესამე: ეკლესია სკოლისაგან და სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, რელიგიური კულტურის შესრულებაც და ანტირელიგიური პროპაგანდაც ნებადართულიაო. აქაც დიდი წინააღმდეგობაა: ვინღა მოგვეკარება ახლა: ყველა ურწმუნოდ აქციეს და თუ არ დაავალე, ისე როგორ შევლენ ეკლესიაში. მოდგებიან ახლა ეს ურწმუნონი და ერთიმეორეს დაუწყებენ მტკიცებას, ვითომ ქვეყანაზე ღმერთი კი არა მაიმუნი ყოფილიყოს.

მეოთხე: მოქალაქეებს უფლება აქვთ, საკოლმეურნეო, პროფკავშირული, კოოპერატიული, ფიზკულტურული და სხვა გაერთიანებები შექმნანო. ესეც ტყუილია. მაგალითად: მე არსად არ მიმიღებენ.

მეხუთე: მოქალაქეთა ბინების ხელშეუხებლობა კანონით დაცულიაო, რაღა დროსია: სამსართულიანი სკოლი მქონდა, ჩამომართვეს. სამი ოთახი-ღა დამიტოვეს აქედანაც ორში სტუდენტები შემისახლდნენ; ამ ერთ ოთახშიც ვინმე შესახლდება ჩემი ქალაქში არყოფნის დროს და მერე კონსტიტუციაც დამტკიცდება.

მეექვსე: საბჭოთა მოქალაქეებისათვის სიტყვის, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება იქნებაო. ეს სრულ არევიდარევას შეიტანს ოჯახში და საზოგადოებაში. მაგალითად: რძლებს თუ სიტყვის უფლება ექნათ, დასჭამენ დედამთილებს, ანდა მოდგებიან ქალაქის ავირე-

ბი და ქუჩებს დედის გინებით გააყრჯებენ. დემონსტრაციების თავისუფლებაზე რა მოგახსენოთ, ქუჩაში სვლის თავისუფლება კი მიზანშეუწონელია შემდეგი გარემოების გამო: აღარავინ არაფერს დაუჯერებს მილიციელებს, მომავალ ტრამვაიაზე შეხტომ-ჩამოხტომა სავარჯიშო საქმედ გადაიქცევა, შოფერები, საითაც მოეწონებათ, იქითკენ აგელვებენ. მანქანებს და ეს დიდ მსხვერპლს მოიტანს. ქალაქი დასახიჩრებულ მოქალაქეებით აივსება.

მეშვიდე: დებუტატთა არჩევნებში ცხოლოდ მაშინ ეძლევათ საბჭოთა მოქალაქეს

უფლება, თუ არჩევნების წელიწადს თვრამეტი წელიწადი შესრულდებაო. კარგია ღმერთმანი, თურმე კონსონტოლებს მეტს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არავის ეძლევა. ეს არის თავისუფალი არჩევნები?

არჩევით არავინ ამირჩევს, საარჩევნო ხმის უფლებაც არა მქონია, როგორც შასაკს გადაცილებულს და ამშენებია ოჯახი“.


ადგილის უქონლობის გამო ამბაკომ დღიურს მთლიანად ვერ ვებეჭდავთ.
ყარაგიოზა.

ტარიადი

ს. კ. საგინაშვილი (არსენალის გზატკეცილი № 35) მუხობლებს ავიწროებს და ართმევს საცხოვრებელ ფართობს.
ნახ. ა. კანდელაკის



— იტალიამ თუ კი დაიპყრო შორეული აზიისა, დიდი საქმეა რომ ჩემს მეზობელს მეც წავართვა ცოტა ფართობი.



სენა პირველი.

თედო ვაშაკიძის ბინა:

მომქმედნი: თედო, ქეთო, ხუთი მათი შვილი (თინა და სხვები), თედოს ორი ძმა, მოსამსახურე ქალი, სტუმრები. (თედო საწერ მაგიდას უზის და ნახაზებს ათვალიერებს. ქეთო და მოსამსახურე ქალი მეორე ოთახში სუფრას შლიან. თინა პიანინოს უკრავს.)

ქეთო. (მეორე ოთახიდან) თედო, ხომ იცი, საცაა სტუმრები მოვლენ.

თედო. მერე რა... უნდა მოვიდნენ და მოვლენ კიდევ.

ქეთო. შენ კი მაგ ნახაზებს თავს არ ანებებ?

თედო. მე კი არ თვითონ ნახაზები არ მანებებენ თავს. შენ რომ იცოდე თავი როგორ ბუზებდით მეხვევიან. აბა, ერთი მოდი აქ, ნახე რა ამბებია!

ქეთო. მეშინია, მეც არ დამეზვიონ ბუზებივით.

თედო. ნუ გეშინია, მოდი.

ქეთო. არ მცალია, ხომ ხედავ სუფრას ვშლი.

თედო. ეჰ, შენ უკვე ჩემს სურვილს ხლარ ასრულებ. ქეთო, მოდი, თორემ ხომ იცი...

ქეთო. რა ვიცი?...

თედო. გიბრძანებ!...

ქეთო. (იცინის) რა? გიბრძანებო? ჯერ ერთი ის მიბრძანე ახალი კონსტიტუციის რომელი მუხლი გეხება ჩვენ ქალებს?

თედო. რომელი... მუხლი?—122.

ქეთო. მაშ, კიდევ წაიკითხე ეს მუხლი და მერე მიბრძანე.

თედო. ო, ესლა კი მაჯობე... როგორც გავს ბრძანებით ვერაფერს გავხდები. თუ ასეა მე თვითონ გეახლება (შედის სასადილო ოთახში).

თინას ხმა: მამილო, გენაცვალე იმღერე ერთი „ბრწყინავს ვარსკვლავი“.

თედო. მერე ვიმღერებ, გენაცვალე, შერე.

თინა. არა, ახლა იმღერე.

ქეთო. იმღერე კაცო, რა დაგეპრთა, (თინა პიანინოს უკრავს, თედო მღერის. ზარი რეკს. ყველანი მისაღებ ოთახში გამოდიან. შემოდის გოგო შუბლაძე — წითელარმიელი).

თინა. ბიძიკო, ბიძიკო, მოდი იმღერე. (გოგო და თინა შედიან სასადილო ოთახში. თინა პიანინოს უკრავს, გოგო მღერის. თედო და ქეთო ნახაზებს ათვალიერებენ).

თედო. აი ხომ ხედავ ამ ნახაზებს, კარგად დააკვირდი. აქ ორი აზრი შეუძლებელია გამოგონების გამარჯვებაც უდავოა. (ზარი რეკს. შემოდის თინას მასწავლებელი). ოოო, ჩვენს მასწავლებელს გაუმარჯოს. თინა, გამოდი შენი მასწავლებელი მოვიდა (თინა გამორბის და მასწავლებელს მიესალმება). ხომ გითხარი, რომ მასწავლებლების ქუჩაზედაც გამოანათებს მზე მეთქი. ახლა, ბიძია, თქვენს ბედს ძალი არ დაყუფს. სამაგიეროდ ერთი ნარდი უნდა გეთამაშო (თედო და მასწავლებელი აივანზე გადიან ნარდს თამაშობენ).

ფარდა.

სენა მეორე.

(ფარდის ახლისას რადიო მღერის ქართულ ხალხურ სიმღერას. ყველანი გაშ-

ლილ სუფრას შემოსდომიან. თამადა სადღეგრძელოს ამბობს).

თამადა. (მასწავლებელი) ამხანაგებო, ეს ოჯახი ჩვენი ქვეყნის ახალი, სამავალითო და საჩვენებელი ოჯახია. თვით თედო და მისი უახლოესი მეგობარი ქეთო ახალი აღამიანები არიან. თედო ოქტომბრის პირში შევილია, რომელსაც წარსულში ტანჯვები უგემნია, ის დღეს ბედნიერი აღამიანია მით, რომ ჩვენში ერთ-ერთი გამოჩენილი სტახანოველია, — მოწინავე მუშა-გამომგონებელი, რომელმაც თავისი საკუთარი თვალებით იხილა მსოფლიო ბელადი და მიიღო უმალესი ჯილდო—ორდენი. ბედნიერია მით, რომ ის, როგორც მოგახსენეთ, პატრონია ახალი ოჯახის, მამაა ხუთი შვილის, მათ შორის ჩემი მოწაფის, თინასი, რომელმაც წარჩინებით დაასრულა საშუალო სკოლა. ქეთო, ერთერთი გამოჩენილი სტახანოველი ქალია ჩვენში, რომელიც საზოგადოებრივ საქმეებში უფარდებს ოჯახურ და პირად საქმეებს. ის დედაა ხუთი შვილის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყვავილნარში ხუთ საუკეთესო ყვავილს წარმოადგენენ. (ზარი რეკს.)

ქეთო. მგონი ისინიც მოვიდნენ (ოთახში შემორბიან ხელში ყვავილებით მათი ორი ვაჟი და ორი ქალი, ყვავილებს თინას გადასცემენ).

თედო. აბა, ბავშვებო მადლობა გადაუხადეთ სტუმრებს სადღეგრძელოსათვის. (ბავშვები შესძახებენ: გმადლობთ, გზადლობთ);

თამადა. სადღეგრძელო ეკუთვნის ჩვენი საამაყო წითელი არმიის წარმ-მადგენელს წითელარმიელს გიგო ვაშაკიძეს.

გიგო. ამხანაგებო,—ჩვენ ვართ საბიძნა,—თედო—მუშა—სტახანოველი, მე — წითელარმიელი, კოლა—მოწინავე კოლმეურნე. ჩვენ ღარიბები ვიყავით. უსახლკარონი, მოჯამაგირეები. დღეს კი ჩვენ არც ღარიბები ვართ, არც უსახლკარონი და არც მოჯამაგირეები, დღეს ჩვენ სიღარიბეს ვებრძვით, რადგან სიღარიბე მტერია სოციალიზმისა, ჩვენში ღარიბი ის არის, ვინც არ მუშაობს, არაფერს ქმნის საერთო საქმისათვის. თედოს ოჯახი მდიდარია. ასეთია ჩვენი მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების ოჯახი. ჩვენ, წითელ არმიელები, ვიცავთ ჩვენს მდიდარ სამშობლოს, ვიცავთ სახელმწიფოს სიმდიდრეს

და ვიცავთ თვითელი ჩვენი ქვეყნის მოქალაქის სიმდიდრეს. ძირს სიღარიბე, ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩემი ძმის თედოს ოჯახს.

(ამ დროს მეზობელ ოთახში მოისმის ბრახუნი, ყვირილი). ო ყველანი. რა მოხდა.

თედო. არაფერია, ალბათ ჩვენი მეზობელიც ქეიფობს.

სენა მესამე.

(ვახტანგ ბაღდატიანი ოთახი თედო ვაშაკიძის მეზობლად.)

მომქმედნი: ვახტანგი. ყოფილი აღამიანი, რომელსაც კიდევ შერჩენია „ძველი ქონი“.

მარგარიტა. ვახტანგის ცოლი.

ტარიელი მათი ვაჟი. ავარა.

ბესარიონი ვახტანგის „ოჯახის მეგობარი“.

(პატარა სუფრის გარშემო სხედან. ტარიელი ღვინოს დაწვებია. თედოს ბინიდან მოისმის სადღეგრძელოები, სიმღერა. პატეფონი უკრავს ტანგოს. ბესარიონ და მარგარიტა ცეკვავენ. ვახტანგი სკამს სკამზე იდგამს და კედლის ჭურჭურტანიდან ისმენს რასაც ლაპარაკობენ თედოსას. სკამები წაიქცევა და ვახტანგი იატაკზე ბრახვანს მოადენს... ვახტანგი ტკივილებისაგან წუხს და ბურღუნუნებს. მას ტახტზე მიაწვენენ).

ვახტანგი. ახ, ეს წუნკლიანები ესა... ხედავთ რას ამბობენ, სიღარიბე ჩვენი მტერიაო. რატომ მაშინ არ ამბობდნენ ასე, როცა მე მდიდარი ვიყავი, ისინი კი ღარიბები იყვნენ?... ვანა ეგები არ იყვნენ, რომ გაიძახოდნენ ძირს მდიდრები, გაუმარჯოს ღარიბებსო?... ახლა გამდიდრდნენ???

მარგარიტა. ცოტა ხმა დაბლა, თორემ შეიძლება გაიგონონ...

ვახტანგი. პირიქით, თუ გაიგონებენ ის მინდა... ახალი კონსტიტუციით მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ სიტყვისა... მე ვიცავ ღარიბებს... ნამდვილი სოციალისტი მე ვარ. ესენი კი გადაგვარდნენ... ღარიბების წინააღმდეგნი არიან. მე მაგას, თუ ბიჭი ვარ ვაცნობებ სადაც ჯერ არს.

ტარიელი. მამა, თავი დაანებე, მოდი ერთი არხენად დავლიოთ, რაღა (მიუტანს ტახტზე ღვინით სავსე ყანწს). ეს, ვადღეგრძელოთ ჩვენისთანა ღარიბი ხალხი (იცინის).

ვახტანგი. (გამოართმევს ყანწს) გაუმარჯოს ჩვენისთანა ხალხს, რომელსაც როცა ჰქონდა საშუალება შესაფერად მოუხმარია, დღეს კი არა აქვს, მაგრამ ძველებური შნო მაინც დარჩენიათ (სვამს და ყანწს დაცლის). ალავერდი ბესარიონ.

ბესარიონი. იახშიოლ... (გამოართმევს ღვინით სავსე ყანწს და სვამს. ვახტანგს მიეძინება. ძილში ბორგავს და აბოღუნებს. ტარიელი და ვახტანგი განაგრძობენ სმას. ტარიელიც დათვრება და სკამზე ჩამოეძინება. მარგარიტა და ბესარიონ ცეკვავენ და ერთმანეთს ეხვევიან).

ვახტანგი. (ძილში წამოიძახებს) რაო, რაო? ძირს სიღარიბეო?! ვინ ბედავს!!! ფარდა.

ვინ არის?

(ძიმიტი, მახარაძის რ.)

უფრებამდე თითქმის სწვდება უღლაშები ეგზომ გრძელი. სულ მთვრალია და ნაგანზე უყილია მუდამ ხელი.

დათას ტყვია დაუმიზნა, ესროლა და დააცილა, მაგრამ ყველას ეშინია და ვერავინ გააზნია.

ერთხელ მიშას და ვანოსაც დაედევნა განახელი... და ასეთი საქციელით მოიხვეჭა მან სახელი.

კოლექტივის სასიზინდეს გადააძრო სახურავი და ძმა-ბიჭებს შეხთავაზა, რომ არ უთხრან სამღურავი. დაუნდროკელი.



— აბოტონ, რომ არც ერთ სხვა მშვენიერში მოქალაქე იხე ვერ სარგებლობს თავისუფლებით, როგორც საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუციით.
— ეს სწორი იქნებოდა, რომ არ შემოეღოთ კანონი აბოტონის ~~საქართველო~~ და ადამიანების გადას-
დის შესახებ.

(სადგ. ხარაგოული).

— გამარჯობა ფილიმონ! — გაგიმარჯოს ჩემო პეტრე! — როგორ ხარ, ჩემო ფილიმონ? შენ-
ზე ამბობენ, თითქოს სალაროს თავის
დროზე არ აღებდე, მართალია?

— მართალია, ჩემო პეტრე. ხომ იცი
ხელფასი მე არ მყოფნის. თუ ცოტა ვანი-
დან შემოსავალი წყარო არ გავიჩინე, ძნე-
ლია ისე ცხოვრება.

— კი, მაგრამ მაგით რა გინდა რომ
თქვა?

— მოხუცი კაცი მოღარობაში და
არ იცი ვანა? მატარებელი რომ შემოვა
სალაროს გავაღებ, მგზავრები ახოჩქოლ-
დებიან, მატარებელზე არ დავრჩეო. ბი-
ლეთს თუ მივცემ, ვინ ეძებს ხურდის დაბ-
რუნებას, ის კი არა, ხშირი მაქვს შემთხ-
ვევა, რომ თითო ბილეთზე სამი-ოთხი ნა-
ნეთი მრჩება. ისეთი მორაგებობა შევარცხ-
ვინე მე, რომ ხუთი-ექვსი თუმანი ჯიბეში
არ დამრჩეს.

— კი, მაგრამ ამას ყურადღებას არა-
ვინ აქცევს?

— მერე რაა. სადგ. ხარაგოულის პარტ-
პროფორგანიზაციამ ქე გამოყო პროფაქ-
ტივი წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ
რას გახდება? ამას წინადა ბარე ორჯერ
გაზეთში ქე გამწერეს: მგზავრებს ბუაჩიძეს
და სხვებს სამ-სამი მანეთი მეტი გადახ-
დევინაო. აგრეთვე სადგურის სამკუთხედ-
მაც ქე იმსჯელა ჩემზე და დაადგინა ჩემი
სამსახურიდან მოხსნა, მაგრამ რას გახდე-
ბა, როცა სადგურის უფროსი ნიკოლა
დევდარიანი მფარველობს? დადგენილე-
ბა დადგენილებად დარჩა და მე თავს არ-
ხეინად ვგრძნობ.

— ჰოო, ჩემო ფილიმონ, იმიტომ გქო-
ნია დიდი გული.

— ეგ რაა, ჩემო პეტრე. ამას წინა
შინდოდა ერთი მახინაცია გაგეკეთებინა.
მაგრამ არ გამიმართლდა. სალაროდან
ამოვიღე ექვსასი მანეთი და სალაროს გა-
ჩრები დავტოვე ღიად. შემდეგ მივედი და
ავტებზე ვახვამი, სალარო გაუტეხიათ-მეთ-
ქი. შეიქნა ერთი აურხაური. საწყაღი
მწონავი, გველესიანიც ქე დააბატირეს,
მაგრამ არ გამივიდა ჩემი ოინები და დუ-
ლი ისევ დამამატებინეს. მაგრამ არა
უშავს. სალაროს შემოსავალს ისე არ ჩა-
ვებარებ, რომ ახალ ხუთმანეთიან-პაჩკებ-
ში ახალი სამმანეთიანები არ გავყრიო.
(ააშენა ღმერთმა მისი გამომშვები. თუ
ძალიან არ დააკვირდი, ისე ვერ გაარჩევ
ერთმანეთში). ამითაც, რასაკვირველია,
ცოტოდენი, ორი ბოთლის ქე მრჩება
შედმეტად.

— კი ჩემო ფილიმონ, მაგრამ ყოველ-
თვის კოკა წყალს არ მოიტახს და იმ შუ-
დევდარიანსაც ამოუსვამენ ნიშადურს და
დარჩებით მაშინ მშრალზე.

— ეგ არ მაფიქრებს, ჩემო პეტრე. მხო-
ლოდ ცოტას ის მაფიქრებს. რომ კაუ-
ნოციმი ბრძანება გამოსცა მგზავრთა კე-
თილ-მომსახურების შესახებ. იქ ნათქვა-
ნია, რომ სალარო ორი საათით ადრე გაი-
ლოსო, მაგრამ არა უშავს. ჩემი ნიკო კარ-
გად მყავდეს და სხვა რა მინდა... ჰო, მარ-
თლა, უკაცრავად, მატარებელი შემოდის.
ბილეთები უნდა გავყიდო მშვიდობით, ჩე-
მო პეტრე, მშვიდობით.

„ნიტროვენი“.

ასტყდა ზარების ზანტი რახრანი,
კრებაზე უხმობს სოფლის გლეხობას,
რაიონიდან მოსულა კაცი
და ჩვენს სოფელზე იღებს შეფობას...

გაიხსნა კრება და თავმჯდომარემ
მიმართა გლეხებს ჩვეული ტონით.
ცხვირი უგავდა თელაურ ნამგალს
და ნიკაპ-ქვეშა ეკიდა ქონი.

გადმოალაგა ხუთწლიან გვემის
ყოველი დარგის, ყველა მიღწევა.
(თქვენ არ გვეგონოთ სხვა რამ საკითხი
სკოლის აგების საქმე ირჩევა).

ძლივს გაათავა მან მოხსენება
სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა
თურმე სალამო მოსულა უკვე
მზე გომბორისკენ გადადიოდა.

ასე დაიწყო დღეს ჩვენს სოფელში
სკოლის აგების პროექტაცია.

ამ კრების შემდეგ თუმცა ფნატრობლით
ალარ გვინახავს ჩვენ ის კაცია.

აი, ვაილეს გლეხებმა ფულ-
ათასი თუმნის რაოდენობით,
რომ ვახარონ მოწაფეები
მათთვის აგებულ სკოლის შენობით.

მაგრამ სასკოლო აღმშენებლობა
ნუ გვეგონებათ საქმე ადვილი
ორ წელიწადზე მეტი ეძებეს,
რომ მოენახათ მისთვის ადგილი.

აი, დასრულდა მეექვსე წელი
მზად არის უკვე სამი კედელი
და გლეხობამაც შეამკო ქებით
ამ მშენებლობის წამომწყებელი.

მერვე წელიწადს დასრულდა ძლივს
ბავშვებს ახარებს ახალი სკოლა,
მაგრამ კი უნდა ითქვას გულანდით
ჯიბის ბარაქაც თან გაიყოლა.

კოლაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ზ ი

ზიათურის საკოლმეურნეო სკოლის
მესვეურნი კ. ხუხუას და ეფ. პაჭკორიას
გასულ წელს დღეში ჰქონდა 9 გაკვეთი-
ლი, გადატვირთვის გამო დღეში აცდენ-
დნენ ოთხ გაკვეთილს. რამდენი ექნებათ
თითოეულ მათგანს გაცდენილი მთელი
წლის განმავლობაში?

ზიათურის სასტუმროს სასადილოში
ყოველ კერძში იხრჩობა თითო ტარაკანი.
მზარეულის ზუსტი გამოანგარიშებით ერ-
თი თვის, ე. ი. 30 დღის განმავლობაში
ტრალიკულად დაღუპულა 5.670 ტარაკა-
ნი. რამდენი კერძი მზადდება დღიურად
სასადილოში.

ჭუთაისიდან ბალდაოსკენ მიმავალი
ავტო გზაზე გაფუჭდა მგზავრები სხვა
მანქანაზე გადაჯდნენ და გადაიხადეს კი-
დეგ სამი მანეთი:

სხვის გასაგონად ამას არ ვამბობ,
სულ ყველანი ვართ ჩვენ შინაური,
ერთი მგზავრობა ასე დამიჯდა
შვიდი მანეთი შვიდი შაური.
აბა ვინ იტყვის თუ რამდენს ფასობს
„სოიუტრანსის“ ერთი ბილეთი?
(ხალტურობს ხურდით ჩვენი მოღარე
როცა აქ არის ხალხი მილეთი).

მესტიაში კოპკავშირის აქვს პურის გასაყიდი მხოლოდ ერთი წერტი, სადაც მუ-
დამ ოიგია და წონაშიაც აკლებენ მომხმარებლებს. ნახ. ო. შერლინგის



— სწორედ იმდენი გაკლდება ყოველდღე პურის ჩივრი ღვრიის
დროს, რამდენსაც პურს აკლებენ წონაში.

სააკი დევიძის გასტროლი

— ყველას თავის გემოვნება აქვსო — ამბობენ. მართლაც არის. ჭურდი უჩინარობას ნატრულობს, ზოგიერთ ნოქარს დასანახავად სძულს საჩივრის წიგნაკი და ა. შ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ტოილისის სახ. უნივერსიტეტის ლიტ. ფაკულტეტის სტუდენტი აკაკი დევიძე გამოვიდა სტუდენტთა ოლიმპიადიდან.

როცა მისი გამოსვლის ჯერი დადგა, კონფერანსიემ დიდის რიხით გამოაცხადა: ავტორი-იუმორისტი, ჩვენი უნივერსიტეტის უნიჭიერესი სტუდენტი აკაკი დევიძე წაიკითხავს საკუთარ ლექსებს...

უნდა გენახათ რა გულთბილად შეხვდა საზოგადოება „ავტორიუმორისტის“ გამოსვლას: ტაშის ისეთი გრიალი ატყდა, რომ სატრანსილაცია რადიოს ხრიალ-ღრიალი რა შესადარისია იმასთან! ერთი სიტყვით, ყველა გაიძანოდა. — „ხორხუ ბიჭი არის ესა“.

როცა ტაშით მიწყნარდა, მან დაიწყო კითხვა:

- „გიშრომით გეტყობათ, მაგრამ ნაშრომს ეტყობა: საცხა რაცხა ნაკლია: რაცხას რაცხა აკლია“...

აბა რა იცოდა დამსწრე საზოგადოებამ, რომ ლექსის ეს ტაეები სწორედ აკაკი დევიძის შეეფერებოდა... (ეს „საცხა, რაცხა ნაკლია“ ჟიურზეც ვრცელდებაო, ამბობენ).

ეს ოხერი „საცხა რაცხა“, ძალის თავში არის დამარხული, და ძალის თავიც იმაში მარხია. ეს „საცხა რაცხა“ „საცხა-რაცხას“ სათაურით ჟურნალ „ნიანგის“ № 20-ში იყო დაბეჭდილი 1934 წელს, სექტემბერში. ერთის მაგიერ ორი ავტორი-იუმორისტი ჰყავდა: ვას. ლებედევ-კუშმაჩმაჩი რუსულ ვარიანტს, ხოლო ქართულად გადმოკეთებულს კი — მედეუზა.

იმის გამო, რომ ვას. ლებედევ-კუშმაჩმაჩი ეს ლექსი დასწერა, ქართულად კი მედეუზამ გადმოაკეთა, აიღო ოლიმპიადის ჟიურში და აკაკი დევიძე დააჯილდოვა სამეღნის მოწყობილობით.

ჩვენ არა ვართ ჯილდოების წინააღმდეგი. არც აკაკი დევიძის დაჯილდოების წინააღმდეგ ვართ, მაგრამ ჯილდოს ვააჩნია: აბა რა იქნება, რომ ფრიადოსანი მოსწავლე რამდენიმე კოლოფი პაპიროსით დააჯილდოვოთ? ანდა მოხუც კაცს ასი ცალი შიბაქი შესთავაზოთ დამსახურებისათვის? აქაც ასეთივე ამბავია: რა საჭიროა სხვისი ნაწარმოების გაქაფვისათვის მეღნის საუკეთესო მოწყობილობა?

ბოლოს ჟიურის ეკითხებით: — ნუ თუ ძნელი იყო, ამხ. ჟიურის წევრებო, რომ თქვენს შემადგენლობაში მილიციის ერთი თანამშრომელიც შეგვეყვანათ? ის მაინც დაგეხმარებოდათ ჭურდის აღმოჩენაში.

სტუდენტი.

ახალი კანონისპროექტი მრავალწევრია და ოჯახის დახმარების შესახებ, საერთოდ, მომწონს, მაგრამ პატარა შესწორება მაინც შემაქვს.



თუ ქალს მერვე ბავშვი შეეძინა, ეძლევა დახმარება, მაშასადამე აქ ერთგვარ რეკორდზეა საქმე, მაგრამ თუ კაცმა რეკორდი დაამყარა ცოლების შეძენაში, იმასაც უნდა მიეცეს რაიმე შეღავათი. ასეთ კაცებს კი ჯერჯერობით ავიწროებენ და ხელს უშლიან.

მაგალითად, შალვა თომას ძე ცომია ახლა სიღნაღშია, ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში, სახანძრო რაზმის მუშაკია.

ფოთში რომ იყო, სუბივილის ქალი ჰყავდა, გორში — ლიზა საგინაშვილი, სიღნაღში — ახალი ცოლი შეიძინა. ეს კიდევ არაფერი. როცა გორში ცოლად ჰყავდა

ლიზა საგინაშვილი, ჩუმად დაინიშნა მარტა ჩამასპიშვილის ქალზე. ერთ ბატარა ქალაქში ორი ცოლი. — ეს რეკორდს ჩამოგავს.

ჰო, 1934 წლის ივნისიდან მიატოვა გორში ლიზა საგინაშვილი და შვილი გოგლა. ეს გოგლა ახლა 4 წლისაა, მშვენიერი ბიჭია. უვლის შალვას სიღნაღში ოლა და სიმამრი თედო. რას ვერჩით ცომიას? ხომ არ უნდა ბიჭიდოს ხურჯინებით ცოლშვილი! თუ გამოგზავნაზე იტყვიან, მაინცდამაინც გამოგზავნაში ხომ არ არის საქმე? თუ კი სიღნაღში ოლა თავისი ჯამაგირით, 100 მანეთით, ახერხებს მოუაროს დაავადებულ შვილს ლიზას და შვილიშვილ გოგლას, რაღას გააღდეკინენ შალვა ცომიას რაღაც 400 მანეთს? მართალია შალვა თავის შვილს არაფერს უგზავნის, მაგრამ ძმაბიჭებში არ არის შერცხვენილი: თუ სწვა ერთ ჩარექას ჩამოღვამს, ის — ორს. სწვა თუ ჩაინკიქით დაღვეს, ის თავის სიგრძე ყანწსაც არ დაერიდება.

აი ასეთ პატიოსან ვაცს ვრ ასვენებს სასამართლო. 1935 წლის ივნისში გამოიტანა გორის რაისისამართლომ დადგენილება და გადაუწყვიტა ჯამაგირის მეოთხედის გადახდა. გორის პროკურორი ელვაშვილი ერთი მოუსვენარი კაცი გამოდგა. ერთხელ მისწერა სიღნაღის პროკურორს (№ 234) კიდევ მისწერა განმეორებით.

ჩემის მხრით ვსთხოვ ამხ. პროკურორს, მართლაც არ დაუჯეროს სასამართლომ დადგენილებას და არაფერი აწყენინოს ცომიას.

სიმონ ჭეიშვილი.

რკინის გზაზე

რკინის გზა წინ რომ წავიდა, ეჭვი არ შეგვედის ამაში, მაგრამ გახშირდა მგზავრებთან სხვადასხვა სახის თამაში.

ხარავოულში მოლარემ ორჯერ გაყიდა ადგილი. და მგზავრებს შორის ვაგონში ბრძოლა გაჩაღდა ნამდვილი.

შორაკანი.

აქ პურის საცხობ რკინის გზის სიმწრით და ოფლით ანაგებს, არც ისე დიდი ხანია, რაც რომ წულაძე განაგებს.

ცომის ჩასადებ ფორმებზე წასცხო მანქანის ზეთია. ნიანგო, აქ თუ წამოხვალ. თან წამოიღე კეტი.

ეს მემანქანე ფერაძე უნდა მოგვემორღეს ღროზედა, ურცხვად, რომ გადმოაბიჯა დაკეტილ სიმაფორზედა.

იქ ელმავალიც დაღწა, აქ ვაგონებიც ჩაყარა და ლიანდაგიც საკმაოდ დააზიანა, აყარა.

გელათი.

გელათის სადგურ უფროსი მართლაც ბრინჯივით იბნევა, მატარებელთა წასვლისას კვერთხს მისი ცოლი იძლევა.

პენსიონერთა სიაში, რომ სცადეს იმის შეყვანა, გაცხარდა ჩვენი კოწია შეაწრიალა ქვეყანა.

მწელოლი.



— თვისუფალი ოთახი გაქვთ?— შევე-
ფითხე ხაშურის სასტუმროს მსახურს.

— ბედი გქონიათ. სწორედ ერთი ოთა-
ხი თვისუფალი № 22. მიბოძეთ პასპორ-
ტი, გადაიხადეთ 11 მანეთი და ჩაიბარეთ
ოთახის გასაღები. მითხრა მსახურმა და
მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების
შემდეგ, მომცა გასაღები, ქართლილის
სანთლის ნატეხი და ოთახზე მიმითითა.

შველდე ოთახის წარი თუ არა, იქიდან
ჭუჭყისა და სიბინძურის ისეთი სუნი მეცა
ცხვირში, რომ კინალამ წავიქეცი.

მოვიკრიფე ძალღონე. ავიკარი ცხვირი,
წვანთე სანთელი და დავათვალიერე ლო-
გინი. ზეწარს ეტყობოდა, რომ ოდესღაც
იგი იყო თეთრი, მაგრამ ყამთა ვითარე-
ბას ისე გაეჭუჭყიანებინა, რომ მტკვარსაც
არ შეეძლო მისთვის პირვანდელი ფერის
დაბრუნება.

— ამხანაგო, ზეწარი და ბალიშის პირი
გამომიცვალეთ, ერთობ ჭუჭყიანია!— მიე-
მართე მსახურს.

— მეტი არა გვაქვს. თანაც ახალი გა-
მოცელილია!— მომიგო მან.

— მაშინ სხვა ოთახში გადამიყვანეთ!

— მეტი ოთახი არა გვაქვს. მთელ სას-
ტუმროში სამიოდე ოთახს ვაქირავებთ,
დანარჩენი ყი ადგილობრივი დაწესებუ-
ლების მოსამსახურებებს აქვთ დაკავებული
მუღმევი ბინებად.

— გამოგაქვთ მაინც!

— დამლაგებელი დილით მოვ. ალბათ
დაავიწყდა გამოგვა.

— ცოცხი მათხოვეთ და შე გამოგვი.

— ცოცხი დამლაგებელს აქვს.

— გამგე სად არის!— გულმოსულმა ხმა
შეუწიე.

— გამგე რად გინდათ, მეგობარო. იგი
შაინც არაფერს არ აკეთებს, აქ მოსასე-
ლელადაც არ სცალია.

— რითი არის დატვირთული?

— ქეიფობს ყოველთვის.

— რა გვარია?

— ლოლაძეა, ზი ის დავით ლოლაძე,
„ზაგორსკოტში“ რომ ფულუბი გაიმაჰქნა
და იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს, მაგ-
რამ თავი აქ ამოყო.

— იმიტომაც არის ამ სასტუმროს საქ-
შე ასე ვარგად. აქ ღამის გათევას სადგურ-
ში ღამის გათევა სჯობია!— ფუთხარი და
ღამის გასათეველ სადგურში წამოვედი.

ბანველი.



ნიანგორის უნიფხვა.

ასეთივე ამბავი გადახდა ჩოხატაურის სასტუმრო-
შიაც, სადაც:

ვერ დავიძინე, რადგანაც ღამით
შემომესია ბალინჯოს ჯარი.

ბევრი ვებრძოლე, მაგრამ დავმარცხდი
გამოვიქეცი შინ ცოცხალ-მკვდარი.

მაგრამ შევიპყრე ერთი ბალინჯო,
მასთან გავბი მე საუბარი:

— რატომ იკბინებით ასე მწარედ?

— მოგხსენებთ, რომ ჩვენი სიცოცხ-
ლე ხანმოკლეა, სულ ერთ ზაფხულს
ვცხოვრობთ, — დამიწყო მან პესიმისტუ-
რი ლაპარაკი, — ამიტომ ვცდილობთ,
რომ ამ მოკლე დროის განმავლობაში რაც
შეიძლება კარგად ვიცხოვროთ და...

— რად იცით შემოსევა და თავდასხმა,
ისიც ღამით, როცა კაცს სძინავს?

— საქმე იმაშია რომ თითო-ოროლა
რომ დავესხათ თავს, ადვილად მოგვეკლა-

ვენ, როცა ბევრი შევეტყვევ, ყველას ზოკ
ვერ დავგხოცავენ? სიბნელით ვსარგებ-
ლობთ, რომ გამოლვიძების შემდეგ თავს
გუშველოთ.

— იმ ტახტის ოთხივე ფეხი, რომელზე-
დაც მე ვიწექი და ვიძინებდი, ნავთიან
კოლოფში იყო ჩადგმული და როგორ
მოახერხეთ ლოგინში შემოსევა?

— ჩვენ ავცოცდით კედელზე, კედლი-
დან ავედით ჭერზე. ჭერიდან გადმოვხ-
ტით და თავზე დავესხით.

— რა გიყო ახლა მე შენ?

— თუ გამიშვებ, ჩოხატაურის სას-
ტუმროს არ გავეკარები. განა ცოტაა
რაიონულ ქალაქებში ასეთი სასტუმროე-
ბი, რომლებსაც ყურადღებას არ აქცევენ
თავიანთი გამგეები?

მიუხედავად ასეთი მუდარის, მე არ შე-
ვიწყნარე იგი.

ნიანგელი.

პოლკოვნიკის ქალიშვილი

(რუსულიდან)

— ზუბცოვი. აბა, ეს რას გავს? ა? ანკეტა-
ში პირდაპირ დაუწერია „პოლკოვნიკის
ქალიშვილი“. გამოიძახეთ ეხლავე უბედუ-
რება თუ გინდა ეს არის. საცაა კონსტიტუ-
ციის პროექტის განხილვას უნდა შევეუდ-
გეთ, და ეხლა ყი ვილაც პოლკოვნიკის ქა-
ლიშვილის საქმე უნდა ვირკვიო. ჩქარა
მოიყვანეთ კუხნეცოვის ქალი. (ადგილ-
კომში შემოდის კუხნეცოვის ქალი) დაბრ-
ძანდით!

კუხნეცოვის ქალი. გმადლობთ.

— ზუბცოვი. დიდი ხანია მუშაობთ ჩვენ-
თან?

კუხნეც. მესამე წელიწადია.

— ზუბცოვი. ოჰო, მესამე წელიწადია.
როგორ გრძნობთ თავს?

კუხნეც. კარგად. ცოტა ხნის წინათ
პრემია მივიღე.

— ზუბც. პრემია? ძალიან კარგია. ერთი
მე ბრძანეთ ვინ მოგვით თქვენ პრემია.

კუხნეც. ადგილკომმა საზოგადოებრივი
მუშაობისათვის.

— ზუბც. ჰო, ჰო. ძალიან კარგია... ერთი
მინდა შეგეკითხოთ: ვინ არის მამა
თქვენი?

კუხნეც. პოლკოვნიკი.

— ზუბც. პოლკოვნიკი? ძალიან კარგი.
თუმცა აქ კარგი არაფერია. ჩვენ იძულებ-
ბული ვართ დავსვათ საკითხი სამსახური-
დან თქვენი განთავისუფლების შეასხე.

კუხნეც. რისთვის?

— ზუბც. თქვენ კიდევ მეკითხებით? პოლ-
კოვნიკის ქალიშვილი?

კუხნეც. არა, ამხანაგო ზუბცოვ, თქვენ
მე ვერ დამითხოვთ!

— ზუბც. ჩვენ ცოტა ხნის წინად მეღავი-
თნეს შვილი დავითხოვეთ, პოლკოვნიკის
ქალიშვილს მით უფრო...

კუხნეც. ვერ შესძლებთ, თუნდაც თვით
მე ვიყო პოლკოვნიკი.

— ზუბც. თქვენთან ლაპარაკის თავი არა
მაქვს. მე კრებაზე მეჩქარება ახალი კონს-
ტიტუცია უნდა განვიხილოთ.

კუხნეც. (თავისთვის) მაშ, ასე კონსტი-
ტუციის განხილვისათვის. ძალიან კარგი
გადაიკითხეთ კარგად კონსტიტუცია და
მაშინ მიხვდებით ვინ არის მამაჩემი.
(ზუბცოვს). ამხანაგო ზუბცოვ, მე მინდა
გიოხრათ თქვენ, რომ მამაჩემი ეხლაც
პოლკოვნიკია!

— ზუბც. რაო? პოლკოვნიკი... სად?

კუხნეც. უკრაინაში. პოლკის კომანდი-
რია, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის.



— რამდენი კილომეტრია თბილისიდან ორჯონიძეამდე?
— თუ მთვრალი უოფარი შეახვდათ, ორმოციც არ გაზომას!..


„ლორელი“



ლორელის ფადოსურ ხმით მოხიბლულსა, მოთაფლულსა ავიწყდება მენავეს, რომ ზღვა უმზადებს შავ უფსკრულსა.

მაღე ნავი დაიშხვრევა, ვერ უშველის „ჰანგთა უღერა“, ამას იზამს ლორელი ამას იზამს მის სიმღერა.

თავაზიანი



— ქალბატონო, ნება მიბოძეთ ეს ჩემი მოწინააღმდეგე გადმოვიხროლო მანდ თავისუფალ ადგილზე

სოვილიზაციის გამარჯვება

სოვილიზაციის გამარჯვება



— რატომ ტირი ღეღუკო?
— ვაი შვილო, რომ გავიმარჯვე, იმაზე ვტირი.

უიგალო იგაღი



ფრანგული მამალი: — ლომო, დამიცავი ამ „შვიდობიანობის მოფიცულადან“.
ინგლისის ლომი: მზვიდალ იყავ. მე შენ ისე დავიცავ, როგორც აბისინია დავიცავი იტალიელებისაგან.

ფედოსი და მაკრინე

— დილაშვიდობისა ფედოსი!
 — იცოცხლე ჩემო მაკრინე.
 — რაზე შეწყუბუნებულხარ შენი ჰირიმე?
 — რაზე ბეჩა და ბაღნებმა მითხრეს, აკრინეს ბიჭმა ბეგლარიამ გაზეთი მიეტანა და შითო ახალი ამბავი სწერიაო, რაცხა პრეტექტია გამოცხადებულიო.
 — კი ბეჩა, მართალი უთქვამს.
 — რა წერია მერე, დამიკაკლე, მაკრინეს ჰირიმე!
 — რაი, ბეჩა ფედოსი, და მთავრობას პრეტექტი გამოუშვია აბორტების შესახებ.
 — ვაი ბეჩა, მაკრინე, რავე მოგვეჭრა თავი. მერე გენაცვალე?
 — მერე და აბორტები, მუცლის მოშლა კანონით აკრძალულია. ვისაც 7 ბავშვი ყავს, მას ზევით ყოველი ზედმეტი ბაღანეს დაბადებისათვის მთავრობა ხუთ წელიწადში მშობლებს მისცემს ყოველწლიურად 2000 მანეთს. ვისაც 11 ბაღანე ყავს, შემდეგი ბაღანეს დაბადებისათვის ბეჩა წელიწადში 5000 მანეთს მიიღებს. დაბადების მერე წლიდან კი—3000 მანეთს.
 — შენ იხარე, ჩემო მაკრინე, ქიარ ვა მიხარე გული?
 — რავე, ბეჩა ფედოსი!
 — რავე შემოგვევლე და მერვე ბაღანაზე ვარ ორსულად.
 — რა მითხარი, ფედოსი, მაგი!

— ბეჩა, არც ისე დიდი ხნის ვართ. გულამ გოუცხადე ქმარს მუცლის მოშლა და სადა მაქ ფულიო, მითხრა, თურმე ფულს აქით იძლევიან და აწი: რა ღმერთი გამიწყრება, რომ აგი ბაღანე გავაფუჭო. შენ არ ფიქრობ მაკრინე შვილების შემატებას? ხუთი ქე გყავს და მოდი სამი შვილიც ვაჩინე და აფხანაკები ვიქნებით.

— ბეჩა, ფედოსი, სავალდებულო კი არ არის, მანდამანც რვა შვილი გავაჩინო.

— აბორტი აკრძალეს, ჩვენ ფერშალს ჩავარდნია კობში ნაცარში. რა ფულს აკეთებდა ბეჩა, რა ფულს! მაგის ცოლი კრებდინებინებს კაბასაც ალარ კადრულობდა. ბეჩა ალიმენტი თუ ქმრებს მესამედი გადოუწყვიტეს, ქე გამდიდრებულა შერმანდიეს გოგო.

— რავე ბეჩა?

— რავე, მაკრინეს ჰირიმე, და ორმა ქმარმა გაუშვა და ორი კაცის მესამედი ჯამაგირი ქე ეყოფა სარჩენად. ძალიან მომეწონა მაი პრეტექტი. გიწვევ შეჯიბრებაში მაკრინე. 7 შვილი მყავს და 3 კიდეც გავაკეთებ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს ჩემო ფედოსი. მოგყობი და ენახოთ შენი გაქათებული ბაღნები აჯობებს თუ ჩემი.

ძნელოდლი.

გოლორი

უტუს (ლანჩხუთი) გვეწერს, რომ
 სასაფლაო სერზეა,
 გზა ცუდია ძალიან.
 წლები გადის და მისთვის
 არავის არ სცალია.

ამას წინათ კი ჩვენ გაზეთში წავიკითხეთ ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგის წერილი, რომელშიაც სწერდა, რომ ლანჩხუთმა გადაჭარბებით შეასრულა გზის მშენებლობის წლიური გეგმაო. არ არ ვიცით, რომელს გენდოთ.

ანტიუს (ქობულეთი) რკ. გზის სადგურის სავაჭრო წერტის გამყიდველებზე გვეწერს, რომ:

ჩინლაძემ და ანობაძემ
 აუწიეს ფასებო,
 და ჩაიწყეს ვიბეებში
 მათ მრავალი ასებო.

ჩვენ გეთანხმებით, რომ სათანადო ორგანობა უნდა მიჰბაძონ მათ და აუწიონ მათ ყურები. დამტკიცებულია, რომ ყურის აწევა ძალიან მოქმედებს ფასების დაწევაზე, ვინაიდან ერთის მხრით აწევა, მეორე მხრით დაწევას იწვევს და, პირიქით.

თ. ც.—მანიას. (სადაც) გვეწერს, რომ
 გითხრეს:

თუ გსურს ნახო სიზმარში
 მომავალი ცოლი,
 ჭამე მარილიანი
 კვერი თუნდაც ცომი.
 მეტი მომივიდა
 კვერში მე მარილი,
 წყურვილისგან თვალქმს
 არ უნახავს ძილი.

შე კაი კაცო, ამდენი მარილის მჭკმის შემდეგ ასეთ უმარილო წერილს წერო?

მუსკუნჯის (აქვე). გიბასუხებთ თქვენნივე ლექსის ერთი ადგილის მცირედო შესწორებით:

მართალს ამბობთ, თქვენი საქმე
 ჭადრაკულად წავიდაო,
 და ეს თქვენი მონაწერი
 ჩვენს გოდორში ჩავიდაო.

მაკვიტს. (ბათონი) გვეწერს, რომ აუცილებლად დაგიბეჭდოთ ეს წერილი რადგან:

ვისაც რა უნდა, იგი თქვას
 სულ სხვაა ჩემი ტრფიალი.
 მიუვარს მე კალმის დაჭერა
 და მისი ხელში ტრიალი.

რამდენიც გენებოთ, იმდენი ატრიალეთ, ხოლო ამნაირად წერას ძალიან ვერიდეთ.

არც ერთი მზრომელი სიცოცხლის დაზღვევის გარეშე

თვითველ მზრომელს შეუძლია დაზღვევოს თავისი სიცოცხლე ერთდამავე დროს, როგორც კოლექტიური, აგრეთვე ინდივიდუალური დაზღვევის ყველა სახით და ამით უარუხვედყოფილია უბედურ შემთხვევის დროს, როგორც თვითონ ისე მისი ოჯახი სახ. დაზღვევის ორგანოდან ერთდროული დახმარების მიღებით კოლექტიური დაზღვევა შეუძლია მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებს, კოოპერირებულ არტელის წევრებსა და კოლმეურნებს.

შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში თვითონ დაზღვეული, ხოლო დაზღვეულის გარდაცვალების ყველა შემთხვევაში—მისი ოჯახი მიიღებს ერთდროულ

დახმარებას 5000 მანეთამდე.

ინდივიდუალური დაზღვევა შეუძლია ყველა მოქალაქეს.

ა) გარდაცვალების ყველა შემთხვევაში 10.000 მანეთამდე. წლიური შენატანი ყოველ 1000 მანეთზე 16 მანეთიდან 40 მანეთამდე წლოვანების მიხედვით.

ბ) მხოლოდ მწვავე გადამდები სნეულებისაგან (ტიფის, მალარიის, სკარლატინის ყვავილის, წითელას, დიფტერიის გრიპის, ფილტვების კრუპოზული ანთების, დენტიტის, სტრუვის და სხვა) გარდაცვალების შემთხვევაში 5000 მანეთამდე, წლიური შენატანი დახმარების ყოველ 1000 მანეთზე 2 მან. 50 კაბ.

გ) უბედურ შემთხვევისაგან გარდაცვალების ან ინვალიდობის შემთხვევაში 10.000 მანეთამდე. წლიური შენატანი ყოველ 1000 მან. 2 მ. 50 კაბ.—15 მანეთამდე პროფესიის მიხედვით

დაზღვევით თქვენი მოძრავი ქონება. დაზღვევა შეიძლება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. დაზღვევის რაოდენობა განისაზღვრება მანეთამდე. წლიურად დასაზღვევი შენატანი ყოველ 1000 მან. 1 მან. 50 კაბ.—13 მანეთამდე. ყოველი დაზღვევის დაზღვევის ინსპექციას რაიფინანსები.



ნან. შ. თალაყვაძის

ემიგრაციაში

- კიდევ სხვს თხოვლობენ.
- რომელი სახელმწიფო?
- საბჭოთა კავშირი.
- ვინ მოსვამს მათ სხვს
- უკვე მიუტიათ.
- ვის?
- თითონ საბჭოთა კავშირს!